ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

სტრუქტურირებული სადოქტორო პროგრამა ტრანსლაციური ბიომედიცინა (მიმართულება - “ჰეპატოლოგია“)“

ქეთი ცომაია

ღვიძლის სტრუქტურული გარდაქმნები რეზექციისა და განმეორებითი რეზექციის შემდეგ (ექსპერიმენტული კვლევა)

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი დიმიტრი კორძაია

2021 წელი
თბილისი

ღვიძლის რეზექციის შემდგომი ღვიძლის რეგენერაცია ერთ-ერთი ყველაზე ინტენსიურად შესწავლადი პროცესია. ამ ინტერესის გამძაფრება გამოწვეულია უკანასკნელ ათწლეულებში ღვიძლის რეზექციის საჭიროების მომატებით. კლინიკაში ღვიძლის რეზექციების გახშირებას საფუძველს უქმნის ისიც, რომ ღვიძლის რეზექციის სხვადასხვა მოდიფიკაცია ადვილად მოდელირებად ოპერაციას წარმოადგენს ექსპერიმენტულ კვლევებში, განსაკუთრებით მცირე ლაბორატორიულ ცხოველებში (მღრღნელებში). ექსპერიმენტულად დადასტურებულია, რომ ჰეპატექტომიის (პჰ) შემდგომ მე-7 - მე-8 დღეს (ზოგი ავტორის მონაცემით კი - 2 კვირის თავზე) ვირთგვის ღვიძლი პრაქტიკულად სრულად აღიდგენს თავის ზომებს და მასას. რეზექციის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციის ფენომენის შესწავლა მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: 1) ღვიძლის რეგენერაციის აღმძვრელი სტიმულების კვლევა; 2) ღვიძლის რეგენერაციის წარმმართველი, ხოლო ღვიძლის მასის აღდგენის შემდეგ - მისი შემწყვეტი მექანიზმების კვლევა; 3) ღვიძლის რეგენერაციისას სტრუქტურული (უჯრედული და ქსოვილოვანი) ტრანსფორმაციის კვლევა. ღვიძლის რეგენერაციის მექანიზმების კვლევისადმი მიძღვნილ ნაშრომთა სიმრავლის ფონზე გარკვეულწილად პარადოქსულია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუსწავლელია პჰ-ის შემდგომი ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული მხარე: - როგორი შენებისაა რეგენერირებული ღვიძლი და რითი განსხვავდება ის ნორმული ღვიძლისაგან?

კოროზიული პრეპარატების მეთოდებით მორეგენერაციე ღვიძლის მილოვანი სტრუქტურების დინამიკაში გამოკვლევას შეუძლია დასაბუთებული პასუხი გასცეს ზემოთ დასმულ კითხვას. ამრიგად, პჰ-ის შემდგომ ღვიძლის რეგენერაციის სტრუქტურული თავისებურების ადეკვატურად შეფასებისათვის, საჭიროა გაირკვეს:

1. რას ნიშნავს ღვიძლის რეგენერაცია უჯრედულ დონეზე? (ანუ ხდება ჰეპატოციტების პროლიფერაცია თუ ჰიპერტროფია? თუ ორივე ერთად? თუ ერთი პროცესი დინამიკაში ჩანაცვლდება მეორით?).

2. რას ნიშნავს ღვიძლის რეგენერაცია წილაკების დონეზე? პჰ-ის შემდეგ ღვიძლის დარჩენილი ქსოვილის მოცულობაში ზრდა განპირობებულია წილაკების რაოდენობის მატებით ანუ ახალი

წილაკების წარმოქმნით, თუ არსებული წილაკების მოცულობაში მატებით? თუ უკანასკნელით, რის ხარჯზე ხდება ეს მატება, ჰეპატოციტების რაოდენობის თუ ზომაში მომატების ხარჯზე?

3. რას ნიშნავს ღვიძლის რეგენერაცია პორტული და კავალური ტრაქტების მილოვანი სტრუქტურების და მათი გამომფენი უჯრედების დონეზე? როგორ „მიჰყვება“ ორგანოს მოცულობაში ზრდას კარის და ღვიძლის ვენის, არტერიისა და ნაღვლის სადინარის ტოტები, ასევე ლიმფური მილები - „ახალი დატოტიანების“ შექმნით, თუ ძველი ტოტების „დაგრძელებით“?

4. რა განსხვავებაა ნორმული და რეგენერირებული ღვიძლის არქიტექტონიკას შორის?

ასეთი კითხვების არსებობა ადასტურებს წარმოდგენილი ღვიძლის რეგენერაციის შემდგომი კვლევის მნიშვნელობასა და აქტუალურობას.

წინამდებარე ნაშრომი ემსახურება ღვიძლის რეგენერაციის რთული მოზაიკური სურათის იმ ფრაგმენტებით შევსებას, რომლის გარეშეც შეუძლებელია ამ სურათის მთლიანობაში წარმოდგენა.

მეცნიერული სიახლე: ვირთაგვის ღვიძლის რეგენერაციის პროცესი არ მთავრდება მისი 2/3-ის რეზექციიდან ახლო ვადებში. პერმანენტულად გრძელდება ტრანსფორმაციები, რომლებიც საფუძვლად უდევს ღვიძლის წილაკების სივრცული არქიტექტონიკის ცვლილებებს, მათ შორის, „მეგაწილაკების“ ფორმირებას, კერძოდ:

1. სისხლძარღვოვანი ქსელის გარდაქმნა, როგორც არსებული სტრუქტურების ფორმისა და ზომის ცვლილებით, ისე ახალი სინუსოიდური კაპილარების და ვენულების ფორმირებით;

2. ჰეპატოციტთა ფორმისა და ზომის ცვლილებები, რასაც თან ახლავს ახალი უჯრედშორისი კავშირების ჩამოყალიბება, მათ შორის, ფორმაშეცვლილი მეზობელი ჰეპატოციტების ატიპიური მემბრანული მორჩების ჩართულობით.

კვლევის მიზანი: კვლევის მიზანს წარმოადგენს ღვიძლის ქსოვილის რეზექციისშემდგომი სტრუქტურული ცვლილებების გამოკვლვა ოპერაციიდან ადრეულ და შორეულ ვადებზე და რეგენერირებული და ნორმული ღვიძლების არქიტექტონიკის შედარებითი ანალიზი.

კვლევის მეთოდოლოგია

<u>მასალა</u>

კვლევა ჩატარდა თსუ ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტში, Wistar-ის ჯიშის 64 ზრდასრულ მამრ ალბინოს ვირთაგვაზე, წონით 150-300 გრამი.

<u>კვლევის დიზაინი</u>

ერთი და იმავე ასაკის (4 თვის) ცხოველები დაყოფილი იყო სამ საკვლევ - SG1, SG2 და SG3 - ჯგუფად. საკონტროლო ჯგუფის ვირთაგვები წარმოადგენდნენ თითოეული ჯგუფისთვის ასაკობრივად იდენტურ ცხოველებს, რომელთაც იმავე ვადებში ჩატარებული ქონდათ ე.წ. ცრუ ოპერაცია.

SG1-ში შემავალი ვირთაგვების ღვიძლის რეგენერაციას ვიკვლევდით ღვიძლის 70%-იანი რეზექციიდან პირველი ორი კვირის განმავლობაში - სხვადასხვა საათობრივ-დღიურ რეჟიმში. კონტროლად ვიღებდით იმავე ვირთაგვების რეზეცირებული ღვიძლის ქსოვილს და პირველი საკონტროლო ჯგუფის - CG1-ის - ვირთაგვების ღვიძლს.

SG2-ში შემავალი ვირთაგვების ღვიძლის რეგენერაციას ვიკვლევდით ღვიძლის 70%-იანი რეზექციიდან 9 თვის შემდეგ. კონტროლად ვიღებდით მეორე საკონტროლო ჯგუფის - CG2-ის - ვირთაგვების ღვიძლს.

SG3-ში, ღვიძლის რეზექციიდან 9 თვის თავზე ცხოველებს ვუტარებდით განმეორებით რეზექციას - რე-რეზექციას. ღვიძლის რეგენერაციას ვსწავლობდით რე-რეზექციიდან 6 თვის შემდეგ.

ვირთაგვების ღვიძლის ქსოვილს ვიკვლევდით ჰისტოლოგიური, ჰისტოქიმიური, იმუნოჰისტოქიმიური, კონტრასტირებული გამჭირვალე პრეპარატების და მორფომეტრიული მეთოდებით, ასევე ღვიძლის ტუბლური სტრუქტურების კოროზიული ტვიფრების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიის მეთოდით.

ოპერაციული მოდელი

ღვიძლის 70%-იანი რეზექცია

ქირურგიული ოპერაციები ცხოველებზე ტარდებოდა დილით, უზმოზე, დიეთილეთერის ზოგადი ანესთეზიის ქვეშ. ცხოველთა მოვლის პროტოკოლი ითვალისწინებდა National Research Council (US) Committee for the Update of the Guide for the Care and Use of Laboratory Animals-ის რეკომენდაციებს. ექსპერიმენტებამდე და ოპერაციის შემდეგ ცხოველები იმყოფებოდნენ მათთვის კომფორტულ ლაბორატორიულ პირობებში.

ოპერაციის მსვლელობა: საოპერაციო მაგიდაზე დამაგრებულ გამათბობელ ლეიბზე ოთხივე კიდურით ფიქსირებული ვირთაგვის მუცელი სუფთავდებოდა თმიანი საფარველისგან ქირურგიული მოხრილი მაკრატლით, მუშავდებოდა სპირტით და ბეტადინით. მუცლის ღრუ იხსნებოდა შრეობრივად. მუცლის ღრუს გახსნის შემდეგ ფართოვდებოდა ჭრილობის კიდეები. ჰემიჰეპატექტომია ხორციელდებოდა Claudia Mitchell & Holger Willenbring- ის ორკვანძოვანი მეთოდის გამოყენებით. პირველი კვანძის დადების შემდეგ, იკვეთბოდა მარცხენა ლატერალური წილი (ღვიძლის მასის ~ 26%), მეორე კვანძის დადების შემდეგ - ღვიძლის მედიანური წილი (ღვიძლის მასის 38-42 %).

ამოკვეთილი წილები ფიქსირდებოდა 10%-იან ფორმალინის ხსნარში. ისინი წარმოადგენდნენ კონტროლს რეგენერაციის შემდგომი ღვიძლის ქსოვილთან შესადარებლად.

განმეორებითი ჰემიჰეპატექტომია

რეგენერირებული ღვიძლის რე-რეზექცია ხორციელდებოდა პირველი ოპერაციიდან 9 თვის შემდეგ. ნარჩენი ღვიძლი, წარმოდგენილი იყო მარჯვენა ლატერალური წილის ზემო და ქვემო სეგმენტებით და წინა და უკანა კაუდალური წილებით. „ერთკვანძოვანი მეთოდით“ ვახდენდით მარჯვენა ლატერალური წილის ორივე სეგმენტის სისხლძარღვების ლიგირებას. ღვიძლის რეზეცირებული ქსოვილი შეესაბამებოდა ნარჩენი ღვიძლის 70%-ს.

კვლევის მეთოდები

ოპერაციიდან განსაზღვრულ ვადებზე ცხოველს ვაძინებდით ეთერის ნარკოზით და ვაფიქსირებდით საოპერაციო მაგიდაზე. იხსნებოდა მუცლის ღრუ. აღინიშნებოდა ზომიერი შეხორცებები ღვიძლის ნარეზექციებ ადგილებთან. შეხორცებების გათიშვის შედეგად იდენტიფიცირდებოდა ღვიძლის ნორმულთან შედარებით მკვეთრად გადიდებული წილები (SG1და SG2 -ში)/წილი (SG3-ში).

მასალის აღებიდან 24-საათში ხდებოდა მასალის მაკრომორფოლოგიური დამუშავება ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევისათვის. თითო წილიდან ვიღებდით 3-3 ნიმუში.

<u>ჰემატოქსილინ-ეოზინი (H&E)</u>

ჰისტოლოგიური კვლევისთვის ხდებოდა მაკრომოროფლოგიურად დამუშავებული ღვიძლის ქსოვილიდან 3-μm ანათლების აღება და ჰემატიქსილინითა და ეოზინის სტანდარტული მეთოდით შეღებვა.

<u>ჰისტოქიმია</u>

ღვიძლის ქსოვილი იჭრებოდა 3-5 μm ანათლებად და იღებებოდა მასონის ტრიქრომით (Sigma Aldrich Catalog Number: C970D37) მწარმოებლის მიერ მითითებული ინსტრუქციის შესაბამისად.

<u>იმუნოჰისტოქიმია</u>

იმუნოჰისტოქიმიური კვლევისთვის გამოყენებული იქნა MyBiosourse-ის ანტისხეული Keratin-8 (კატალოგის ნომერი #MBS8510691). განზავების დონე: 1:200 0,01M ფოსფატურ ბუფერში (PBS) pH7.4 (Sigma Aldrich).

ჰისტოლოგიურ პრეპარატები შემოწმდა Primo star ZEISS-ის სინათლის მიკროსკოპით (გერმანია), რომელიც აღჭურვილია ციფრული კამერით (ZEN 2.3 SP1).

<u>მორფომეტრია</u>

მორფომეტრიული ანალიზისათვის ჩვენს მიერ შერჩეულ იქნა:

ა) ღვიძლის აცინუსის პირველი ზონის ის ჰეპატოციტები, რომელიც განლაგებულია მეზობელი პორტული ტრიადების დამაკავშირებელი ხაზის მიმდებარედ (ორივე მხარეს);

ბ) ღვიძლის აცინუსის მესამე ზონის ის ჰეპატოციტები, რომლებიც განლაგებულია ღვიძლის წილაკის ცენტრალური ვენის ირგვლივ;

კვლევის მორფომეტრიული ანალიზისთვის ვიყენებდით CK8 მარკერით შეღებილ ჰისტოლოგიურ პრეპარატებს.

ჰისტოლოგიური პრეპარატები სკანერდებოდა Motic Digital Slide Scanner-ზე და ანალიზი ტარდებოდა Motic Digital Scanner Assistant Software Motic VM 3.0.-ის საშუალებით. სამუშაო არე დიდდებოდა 40 ჯერ და უჯრედების მემბრანების მოხაზვა ხდებოდა მანუალურად. მორფომეტრიული ანალიზისთვის ვარჩევდით იმ უჯრედებს, რომელთა მემბრანა და ბირთვი სრულად ვიზუალიზდებოდა.

<u>კონტრასტირებული გამჭირვალე პრეპარატები</u>

ტუშ-ჟელატინის ნარევის (1:3) ინიექცია ხორციელდებოდა მანომეტრთან კომუტირებული შპრიცით.

<u>კოროზიული ტვიფრების მასკანიერებელი ელექტრონული მიკროსკოპია</u>

საინექციო გამყარებადი მასის შემუშავება

კოროზიული მიკროპრეპარატების მისაღებად ჩვენ გამოვიყენეთ Protacryl -M, რომელიც ფართოდ გამოიყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. Protacryl -M წარმოადგენს ფხვნილოვანი (პოლიმეთილმეტაკრილატი) და თხევადი (აკრილის ჯგუფის მონომერი) კომპონენტების კომბინაციას. Protacryl-M-ის ფხვნილოვანი კომპონენტს ვანაცვლებდით დისპერსიის უფრო მაღალი ხარისხის მქონე MAYCRYL C.C. Powder-ით. მიღებული ნარევის ვალიდაციას ვახდენდით ინ-ვიტრო (სტენდური) და ინ-ვივო ექსპერიმენტებში.

სტენდურ ცდებს ვატარებდით საინექციო გამყარებადი მასის (სგმ) ისეთი მახასიათებლების განსაზღვრისათვის, როგორებიცაა: ა) სგმ-ის ჰომოგენურობა გამყარებამდე და გამყარების (პოლიმერიზაციის) შემდეგ; ბ) გამყარების დაწყების დრო; სრული გამყარების დრო; გ) გამყარების ტემპერატურა; გამყარების პროცესში „შედგომის“ (shrinkage) ხარისხი; დ) (კოროზიული აგენტების (მჟავა ან ტუტე) მიმართ სენსიტიურობა/მდგრადობა; ე) კოროზიის დრო; ვ) ტვიფრის სიმყარე; ზ) შეღებვადობა (ფერის სიმკვეთრე და მდგრადობა წყლისა და ტუტის მიმართ); თ) სინათლის მიკროსკოპით გამოკვლევის შესაძლებლობა; ი) ელექტროგამტარი მასალით ხარისხიანად დაფარვის (coating) შესაძლებლობა ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით გამოკვლევისათვის; კ) მასკანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპში ელექტრონებით დაბომბვისადმი მდგრადობა; ლ) მასკანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპში როგორც მაღალი, ისე დაბალი ვაკუუმის პირობებში გამოკვლევის შესაძლებლობა; მ) მასკანირებელ ელექტრონულ მიკროსკოპში სხვადასხვა გაზომვისა და რენტგენოსპექტრული ანალიზის ჩატარების შესაძლებლობა; ნ) წვრილ ტუბულებში გაღწევის და მათი რეპლიკაციის უნარი; ო) ტუბულური სტრუქტურის სანათურისმხრივი ზედაპირის რეპლიკაციის უნარი; პ) „ნაჟღენთის“ წარმოქმნის და ლიმფური მილების ინიცირების უნარი; ჟ) ქსოვილოვანი სივრცეების რეპლიკაციის უნარი.

ინ-ვივო ვალიდაცია მოვახდინეთ ვისტარის ჯიშის ზრდასრულ 14 თეთრ მამრ ვირთაგვებში, წონით 180-220 გ. ინიექცია ხორციელდებოდა დიეთილ ეთერის ინჰალაციური ნარკოზის ქვეშ, სისხლის კალაპოტის წინასწარი გამორეცხვის შემდეგ 0.1 მლ. ჰეპარინის შემცველი 0,9%-იანი ფიზიოლოგიური ხსნარით (გამორეცხვის დრო - 20 მლ/წთ -ში).

მანიპულაციები ტარდებოდა ქირურგიული სათვალის გამოყენებით. სამ ვირთაგვაში გსმ-ის ინიექცია განხორციელდა გულმკერდის აორტიდან, 2 შემთხვევაში პორტული ვენიდან და 2 შემთხვევაში ერთროულად კარის ვენიდან და აორტიდან .

პოლიმერიზაცია ხდებოდა ოთახის ტემპერატურაზე.

<u>კოროზიული მიკრო-პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია</u>

ინიექციებული მასის პოლიმერიზაციის შემდეგ ქსოვილების დაშლა ხორციელდებოდა 20%-იანი KOH-ის ხსნარით, ოთახის ტემპერატურაზე. ნიმუშები ყოველი 2 საათის შემდეგ გადაგვქონდა გამოხდილ წყალში, რომელსაც სამჯერ ვცვლიდით ყოველ 10 წუთში.

მაცერაციის დასრულების შემდეგ ნიმუშები 10 წუთით თავსდებოდა Triton X-100-ის ხსნარში და შემდეგ ირეცხებოდა გამდინარე წყლის მსუბუქ ნაკადში - 10 წუთის განმავლობაში.

კოროზიულ ტვიფრებს ვიკვლევდით ProScope დიგიტალური კამერით და მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით [JEOL-JSM-6510LV და Hitachi S-570). კვლევისათვის კოროზიული ტვიფრები იფარებოდა ოქროს ფენით, JEC-3000FC (Tokyo BOEKI Group, Japan აპარატის გამოყენებით (ვაკუუმი = 3.2 პა, დაფარვის დრო = 180 წმ)).

<u>სტატისტიკური ანალიზი</u>

ჰეპატოციტების ფართობისა და პერიმეტრის გაზომვის შედეგები, როგორც რაოდენობრივი ცვლადები, წარმოდგენილია მედიანის სა-

ხით.რაოდენობრივი ცვლადები შედარდა t ტესტის გამოყენებით.

ყველა P სიდიდე იყო ორმხრივი და მნიშვნელოვნების დონე იყო და ყენებული 0.05-ზე.

სტატისტიკური ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა პროგრამა SAS 9.2.

კვლევის შედეგები და განხილვა

<u>კოროზიული მიკროპრეპარატების მისაღებად გამყარებადი საინიექციო მასის აპრობაცია</u>

ჩვენს მიერ ზემოთ ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს ყველაზე მეტად აკმაყოფილებს გამყარებადი საინიექციო მასა ზემოაღნიშნული კომპონენტების შემდეგი პროპორციებით: 0.25 გ გაცრილი MAYCRYL C. C. ფხვნილი (მთლიანი მასის 4.7%) + 0.08 გ ბენზოილის ზეჟანგი (მთლიანი მასის 1.5 %) + 5 მლ Protacryl M + 0,2 მლ საღებავი Redont Colour

(dye concentrate). ამ შემადგენლობით მიღებული გამყარებადი მასით მზადდებოდა სხვადასხვა ორგანოების კოროზიული პრეპარატები, რომელთა გამოკვლევაც ხორციელდებოდა Proscope დიგიტალური კამერით და მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით.

კვლევის შედეგებმა დაადასტურა, რომ ჩვენს მიერ მომზადებული სგმ-ის ინიექციის ადეკვატური კონტროლი შესაძლებელია ინიექციის პროცესში პარენქიმულ ორგანოებზე (ღვიძლი, თირკმელი) დაკვირვებით, რადგანაც მათი კაფსულის ქვეშ კარგად განირჩევა სგმ-ის მიერ ზედაპირული მიკროცირკულაციური კალაპოტის შევსება. ინიექციებული სტრუქტურების ფერი დამოკიდებულია სგმ-ში შერეული პიგმენტის ფერზე.

კოროზიის შემდგომ მიღებული ტვიფრების გამოკვლევა სინათლის მიკროსკოპით ადასტურებს, რომ სგმ-ის ინიქციით შესაძლებელია როგორც ცალკე, მხოლოდ პორტული ცირკულაციური კალაპოტის, ისე პორტული და ღვიძლის ვენების კალაპოტების ერთდროულად რეპროდუქცია, თანაც ისე, რომ დასახელებულ კალაპოტებში შეყვანილი იყოს სხვადასხვა ფერის სგმ-ი. Protacryl M-ის ბაზაზე მომზადებული სგმ-ის გამოყენებით მიღებული ტვიფრები კარგად ექვემდებარებიან ოქროთი „დამტვერვას“ - მაღალი ვაკუუმის პირობებში ელექტრონული მასკანირებელი მიკროსკოპით გამოკვლევისათვის. სკანოგრამებზე განირჩევა ერთმანეთთან დაკავშირებული უსწორმასწორო ცილინდრის მსგავსი ფორმების სხვადასხვა დიამეტრის სისხლის მილების ტვიფრები, მკვეთრი კონტურებით. ტვიფრების ზედაპირი „დაჭიმულია“. მათზე განირჩევა შესაბამისი ტუბულური სტრუქტურებისათვის დამახასიათებელი შედარებითი შევიწროებისა და გაფართოების ზონების მონაცვლეობა, ასევე ენდოთელიოციტთა ბირთვისშემცველი ზონების ანაბეჭდები. ყველა ეს თავისებურება სრულად არის შენარჩუნებული ტვიფრების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით დაბალი ვაკუუმის პირობებში ოქროთი დაფარვის გარეშე გამოკვლევის დროსაც. სგმ ერთნაირი წარმატებით ავსებს ცირკულაციური კალაპოტის, როგორც მსხვილი კალიბრის, ისე უწვრილეს (ერთ მიკრონზე მცირე) ტოტებს. ამასთანავე, ტვიფრები ექვემდებარება არა მხოლოდ სიგრძისა და დიამეტრის, არამედ

დატოტვის კუთხეთა გაზომვებსაც, ასევე, სგმ-ის შემადგენლობის რენტგენოსპექტრულ ანალიზს. კოროზიული მიკროპრეპარატების ნაწილზე აღინიშნება სგმ-ის ტუბულური სტრუქტურებიდან „გამოსვლის“, ე.წ. „ექსტრავაზაციის“ უბნები, სადაც ეს „ექსტრავაზატები“ ქმნიან ტიპურ კონგლომერატებს ან ფირფიტებს. ზოგი ნაჟღენთიდან სათავეს იღებს 10-25 მკმ სიგანის ლიმფური მილების ტვიფრები, რომლებიც ხასიათდება ტიპური შებრტყელებული ფორმით, ყრუდ დაბოლოებული განტოტებებით და შევიწროვებების უბნების არსებობით (რაც შეესაბამება სარქველების განლაგების ადგილებს). ლიმფური მილების ტვიფრების ზედაპირზე აღინიშნება ლიმფოენდოთელიოციტების ბირთვების შემცველი ზონების ტიპური ანაბეჭდები. კოროზიული ტვიფრების მეთოდით კვლევისას სგმ-ის სიიაფე ფრიად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ხშირად გამოიყენება არა მხოლოდ მიკროპრეპარატების, არამედ მაკროპრეპარატების დასამზადებლადაც, რაც მკვეთრად ზრდის მის დანახარჯს. ჩვენს მიერ მოწოდებული სგმ ხასიათდება ისეთი სიბლანტით, რომ წარმატებით ახერხებს როგორც მსხვილი, ისე წვრილი კალიბრის (1-მკმ-მდე დიამეტრის) ტუბულების რეპლიკაციას. აღსანიშნავია, რომ ზემოაღნიშნული, სტომატოლოგიურ პრაქტიკაში ფართოდ გამოყენებული ფისები გამოიყენება მრავალ ქვეყანაში (ISO 9001, ISO 13485; GMP), რაც მათ არატოქსიკურობას ადასტურებს. ჩვენს მიერ რეკომენდებული სგმ თავის სიბლანტეს ინარჩუნებს ათი წუთის განმავლობაში, რაც საშუალებას იძლევა საკვლევი ტუბულარული სტრუქტურების ინიექცია განხორციელდეს აჩქარების გარეშე. ამასთანავე, როგორც ზემოთ იქნა ნაჩვენები, სგმ გაბლანტებას იწყებს მე-10 წუთიდან, რაც ახდენს ინიექციებული მასის „უკუქცევის“ პრევენციას და ხელს უწყობს სრულფასოვანი ტვიფრების მიღებას. აღსანიშნავია ისიც, რომ გამყარების პროცესში ჩვენი სგმ პრაქტიკულად არ ექვემდებარება შეკუმშვას რაც საფუძველს იძლევა, რომ ტვიფრების გაზომვით მიღებული მონაცემები ჩაითვალოს შესაბამისი ტუბულური სტრუქტურების სანათურების ნატურალურ ზომებად. ჩვენს შემთხვევაში საღებავად გამოყენებული პიგმენტები, არ ქმნის ბარიერს მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევისათვის, ამასთანავე, ხელს

უწყობს სხვადასხვა ტუბულური სისტემების ცალ-ცალკე, ისე ერთდროულად გამოკვლევას. ამავდროულად, ის იძლევა საშუალებას, ინიექციის პროცესში, ორგანოებზე (განსაკუთრებით, პარენქიმულ ორგანოებზე - ღვიძლზე, თირკმელზე) დაკვირვებით შევაფასოთ მიკროცირკულაციური კლაპოტის ადექვატურად შევსების ხარისხი. ჩვენს მიერ მიღებული ტვიფრების გამძლეობას მასკანირებრლ ელექტრონულ მიკროსკოპში ელექტრონებით „დაბომბვისადმი“ ადასტურებს ის ფაქტი, რომ მიკროსკოპიის ხანგრძლივი, 1-2 საათიანი სეანსების დროს არ აღნიშნულა ტვიფრების ზედაპირზე ის ტიპური აფეთქებები, რომლების აღინიშნება ისეთ შემთხვევებში, როდესაც საკვლევი ზედაპირი სენსიტიურია ელექტრონული ნაკადის მიმართ. წვრილი მილოვანი სტრუქტურების ტვიფრების უწყვეტობა, მათი ზედაპირების „დაჭიმულობა“ და მათზე შესაბამისი ტუბულების სანათურისმხრივი ზედაპირების რელიეფის ნეგატიური ასახვა, ადასტურებს, რომ ჩვენს მიერ დამზადებული კოროზიული ტვიფრების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიით მიღებული გამოსახულებები არ ჩამოუარდება საერთაშორისოდ აღიარებული სგმ-ების საშუალებით მიღებული ტვიფრების ანალოგიურ გამოსახულებებს. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს მიერ მიღებული სგმ-ის გამყარების ტემპერატურაც არ აღემატებოდა 45^{0}C-ს. ამდენად, ნარევი აკმაყოფილებს კოროზიული პრეპარატების მოსამზადებელი საინექციო მასების მიმართ წაყენებულ ყველა ძირითად მოთხოვნას.

<u>ღვიძლის 2/3 რეზექციისშემდგომი რეგენერაციის თავისებურებები ოპერაციიდან ორი კვირის განმავლობაში</u>

ღვიძლის რეზექციიდან 24, 48 და 96 საათის შემდეგ ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი კონტროლთან შედარებით მომატებულია აცინუსის როგორც პირველ, ასევე მესამე ზონებში ($p<0.001$). რეზექციიდან 1 კვირის შემდეგ აცინუსის მესამე ზონის ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი ნორმასთან შედარებით ნაკლებია ($p<0.05$), ხოლო პირველი ზონის ჰეპატოციტების პერიმეტრი და ფართობი აღემატება ნორმის ანალოგიურ მაჩვენებლებს ($p=0,05$). ამასთანავე, ამ ვადაზე ღვიძლის აცინუსის როგორც პირველი, ასევე

მესამე ზონის ჰეპატოციტების პერიმეტრი და ფართობი ნაკლებია რეგენერაციის წინა ვადების ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით ($p<0,05$). რეზექციიდან 2 კვირის შემდეგ, რეგენერირებული ღვიძლის ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი, აცინუსის როგორც პირველ, ასევე მესამე ზონებში, აღემატება ნორმის და რეზექციიდან ერთი კვირის თავზე მიღებულ ანალოგიურ მაჩვენებლებს ($p<0.001$). ერთსა და იმავე ვადაზე ზონების მიხედვით ჰეპატოციტების ფართობებისა და პერიმეტრების შედარება უჩვენებს, რომ, როგორც ნორმაში, ისე რეგენერაციის 24-ე და 96-ე საათზე, მესამე ზონის ჰეპატოციტების ფართობი აღემატება პირველი ზონის ჰეპატოციტების ფართობს (შესაბამისად $p=0.01$; $p=0.005$; $p=0.03$), ხოლო ჰეპატოციტების პერიმეტრებს შორის სარწმუნო სხვაობა არ ვლინდება (შესაბამისად $p=0.06$; $p>0.9$ $p=0.5$).

ვითარება შეცვლილია რეგენერაციის 48-ე საათზე, როდესაც აცინუსის პირველი ზონის ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი აღემატება მესამე ზონის ჰეპატოციტების ფართობს და პერიმეტრს ($p<0,05$).

რეგენერაციის ერთი კვირის შემდეგ პირველი ზონის ჰეპატოციტების ფართობი სარწმუნოდ მეტია ვიდრე მესამე ზონის ჰეპატოციტების ფართობი ($p=0.009$), ხოლო პერიმეტრებს შორის სხვაობა არ არის სარწმუნო ($p=0.1$). რეგენერაციის ორი კვირის შემდეგ აცინუსის პირველი ზონის ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი სარწმუნოდ არ განსხვავდება მესამე ზონის ჰეპატოციტების ფართობისა და პერიმეტრისაგან ($p=0.5$; $p=0.2$). ნორმული ვირთაგვების ღვიძლის ჰისტოლოგიური კვლევით ხშირად შესაძლებელია წილაკების იდენტიფიცირება, სადაც ჰეპატოციტები განლაგებულია რადიალურად, ჰეპატოციტების ერთი (იშვიათად ორი) რიგისაგან შემდგარი ფირფიტების სახით, რომელთა შორის არსებული სინუსოიდები მეტ-ნაკლებად თანაბარი ზომისაა. რეგენერაციის 24 და 48 საათის შემდეგ გართულებულია წილაკების იდენტიფიცირება, ხოლო იმ წილაკების ზომები, რომელთა კონტურების იდენტიფიკაციაც შესაძლებელია, მომატებულია. ჰეპატოციტების ფირფიტების რადიალური განლაგება და არქიტექტონიკა დარღვეულია. ისინი ჩანაცვლებულია ღვიძლის უჯრედებისა და სინუსოიდური კაპილარებისაგან შედგენილი კონგლომერატით, რომლის სხვადასხვა უბანშიც სხვადასხვა

ინტენსივობით აღინიშნება უსინუსოიდო (უსისხლძარღვო) უბნები, ასევე უბნები, სხვადასხვა ზომის და ფორმის სინუსოიდებით (რომელთა ნაწილი მკვეთრად დილატირებულია). ჰეპატოციტების ციტოპლაზმური მებრანის ტიპური კონტურები შეცვლილია, ზოგიერთ ჰეპატოციტზე ჩნდება ციტოპლაზმური წანაზარდები. რეგენერაციის 48-ე საათზე აღინიშნება მრავლობითი მიტოზური ფიგურები. 96-ე საათზე მიტოზური ფიგურები გვხვდება ერთეული რაოდენობით. ჰეპატოციტთა ნაწილი განიცდის დესტრუქციულ-ნეკროზულ ცვლილებებს. ასეთი ნეკროზული ჰეპატოციტები ხშირად ესაზღვრებიან ორბირთვიან, დიდი ზომის ან მიტოზურ ჰეპატოციტებს. ნეკროზული ჰეპატოციტები ასევე ხშირად გვხვდება ე.წ. უსისხლძარღვო უბნებში. რეგენერაციიდან 1 კვირის თავზე ღვიძლის ქსოვილი იბრუნებს მეტ-ნაკლებად ტიპურ არქიტექტონიკას, ამასთანავე, იმ წილაკების ზომა, რომელთა იდენტიფიცირებაც შესაძლებელია ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე, უფრო დიდია ვიდრე ნორმაში. სინუსოიდთა ნაწილი დილატირებულია, ამასთნავე ცალკეულ უბნებში აღინიშნება მკვეთრად უსწორმასწორო სინუსოიდები გაკვირტული ტოტის შესახედაობით. ასეთი სინუსოიდების მიმდებარე ჰეპატოციტების პლაზმური მემბრანაც მკვეთრად უსწორმასწოროა, ზოგჯერ იმდენად, რომ ღვიძლის უჯრედებს ერთგვარი ვარსკვლავისებური ფორმა აქვთ. რეგენერაციის 24-ე, 48-ე და 96-ე სთ-ზე ჰეპატოციტები თავიანთი ფორმით მკვეთრად განსხვავდება ნორმული ჰეპატოციტების ზომისაგან. ჰეპატოციტების ნორმისთვის ტიპური, მეტ-ნაკლებად მსგავსი ზომების მქონე მრავალკუთხა პარალელეპიპედის მსგავსი ფორმები ჩანაცვლებულია მკვეთრად განსხვავებული ფორმისა და ზომის ჰეპატოციტებით, რომლებიც ერთმანეთს უკავშირდებიან უჩვეულიო ფორმის პლაზმური მემბრანის მორჩისებრი წანაზარდების საშუალებით, ისე, რომ მთელი პლასტის ჰისტოლოგიური სურათი წააგავს აწყობილი პაზლის კონსტრუქციას. წანაზარდების საშუალებით ჰეპატოციტების ერთმანეთთან დაკავშირება უნდა მიუთითებდეს მათ შორის ახალი კავშირების შექმნას და ჰეპატოციტების ფირფიტების რემოდელინგს, იმის ანალოგიურად, როგორც ეს ნაჩვენებია Gusev et al., 1991-ის მიერ აორტის ენდოთელიოციტების პლასტისათის სისხლის წნევის ცვლილების

პირობებში. აღსანიშნავია, რომ რეგენერაციიდან ერთი კვირის თავზე ზოგიერთ უბნებში აღინიშნება ინტენსიური სინუსოიდიზაცია და ღვიძლის ვენების წვრილი შენაკადების (ცენტრალური და სუბლობულური ვენების) სიმრავლე პორტული ტრიადების სიმწირის ფონზე. ამავე ვადაზე კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევისას ვლინდება სინუსოიდთა ქსელი, რომელიც სივრცულად მოსაზღვრავს სხვადასხვა ფორმისა და ზომის წილაკებს, მათ შორის ისეთებსაც, რომლებიც, თითქოსდა შექმნილია ორი „ნორმული“ წილაკის გაერთიანებით (მეგაწილაკი). სინუსოიდთა დიამეტრი ზოგჯერ მკვეთრად განსხვავებულია. განსაკუთრებით გაგანიერებულია ზედაპირულად მდებარე სინოსოიდები. ცალკეულ უბნებში აღინიშნება წვრილ (მცირე დიამეტრის) სინუსოიდთა ტვიფრები, რომელთაც გააჩნიათ უსწორმასწორო ხორკლიანი ზედაპირი მცირე ზომის კვირტისებური წანაზარდებით რაც ამ ტვიფრების კონტურს ზიგზაგისებურ ფორმას აძლევს, ზოგიერთ უბანში აღინიშნება ღვიძლის ვენების შენაკადებისა და მათთან დაკავშირებული მსხვილი სინუსოიდების ისეთი ტვიფრები, რომლებიც დამახასიათბელია სისხლძარღვთა სპრუტინგისთვის. ასეთი სპრუტინგული ტვიფრები ზოგჯერ ერთმანეთს ეანასტომოზება. ჩვენს მიერ მიღებული ჰისტოლოგიური და კოროზიული პრეპარატების შედეგების შედარებითი ანალიზი ადასტურებს, რომ კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი მიკროსკოპიით გამოვლენილი უსწორმასწორო, დაკლაკნილი, სხვადასხვა ზომის „გაკვირტული“ სინუსოიდები რეალობაა და არა მეთოდის ტექნიკური ხარვეზის შედეგი. რეზექციიდან 2 კვირის შემდეგ მატულობს ისეთი უბნების რადენობა, რომელთა კონსტრუქციაც წააგავს ნორმულს. ამასთანავე, კვლავ ვლინდება უბნები ციტოპლაზმური წანაზარდების მქონე ჰეპატოციტებით და სხვადასხვა დიამეტრის სინუსოიდებით. ასევე აღინიშნება ე.წ. უსინუსოიდი რეგენერაციული ნოდულები, რაც მიუთითებს, რომ სინუსოიდიზაციის პროცესი დასრულებული არ არის. ჩვენს მიერ მიღებული ჰეპატოციტების ფართობების და პერიმეტრების მონაცემთა ცვლილებები არ ხასიათდება ერთი საერთო ტენდენციით. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩნდება უცნაური (არასტანდარტული) ფორმის

ჰეპატოციტები ერთგვარი ციტოპლაზმური მორჩებით, უნდა ვივარაუდოთ, რომ ტრანსფორმაციას ექვემდებარება არა მხოლოდ სისხლძარღვთაქსელი და, შესაბამისად, წილაკების ფორმები და ზომები, არამედ ჰეპატოციტების პოპულაციაც. კოროზიულ პრეპარატებზე ნანახი ღვიძლის ვენების შენაკადების (სუბლობულური ვენულების) სპრუტინგი ადასტურებს, რომ პროლიფერაციული პროცესები არ არის დასრულებული და შესაბამისად გრძელდება ღვიძლის/წილაკის რემოდელირების პროცესი, ზემო აღნიშნული ვენულების სპრუტინგი შეესაბამება ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე საკმაოდ ხშირად აღმოჩენილ ისეთ უბნებს, სადაც ჩანს ცენტრალური ვენების და სუბლობულური ვენების სიმრავლე შესაბამისი რაოდენობის ტრიადების გარეშე. ვენების მსგავსი გამრავლება შეიძლება გარკვეული მინიშნება იყოს ახალი წილაკების ფორმირების თაობაზე.

<u>ღვიძლის 2/3 რეზექციის შემდგომი რეგენერაციის თავისებურებები ოპერაციიდან 9 თვის შემდეგ (SG2)</u>

ვირთაგვების ღვიძლის ქსოვილი ორგანოს 2/3-ის რეზექციიდან 9 თვის შემდეგ (მე-2 საკვლევი ჯგუფი) შესწავლილი იქნა კომპლექსური მორფოლოგიური მეთოდებით. მორფომეტრიული კვლევის შედეგები ადასტურებს, რომ მე-2 საკვლევი ჯგუფის ცხოველებში ჰეპატოციტების ფართობი და პერიმეტრი განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის ანალოგიური მონაცემებისგან. კერძოდ: ა) საკონტროლო ჯგუფში აცინუსის I ზონაში (პერიპორტულად) განლაგებული ჰეპატოციტების ფართობი ჩამორჩება აცინუსის III ზონაში (პერიცენტრულად) განლაგებული ჰეპატოციტების ფართობს ($P<0,05$), მაშინ როდესაც შესაბამის უჯრედთა პერიმეტრები ერთმანეთისგან არ განსხვავდება ($P>0,05$); ბ) მე-2 საკვლევ ჯგუფში I და III ზონის ჰეპატოციტების პერიმეტრები და ფართობები სარწმუნოდ არ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ($P>0,05$); გ) მე-2 საკვლევ ჯგუფში საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მატულობს როგორც აცინუსის I ზონაში, ისე III ზონაში განლაგებული ჰეპატოციტების ფართობიცა და პერიმეტრის სიგრძეც ($P<0,05$);

მე-2 საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ღვიძლის ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე რეგულარული ფორმის წილაკები წარმოდგენილია წრიული, ან წრესთან მიახლოებული მრავალწახნაგა გეომეტრიის კონსტრუქციის სახით, რომლის ცენტრშიც შესაძლებელია ცენტრალური ვენის იდენტიფიკაცია. ასეთი წილაკების იდენტიფიკაცია შედარებით ადვილია სისხლის კალაპოტის ტუშ-ჟელატინით ინიეცირების შემდეგ დამზადებულ გამჭვირვალე ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე. აღსანიშნავია, რომ ასეთი „კლასიკური“ წილაკების დიამეტრი საკმაოდ მერყეობს და იცვლება 300 მკმ-დან 600 მკმ-მდე.

პარციული ჰეპატექტომიიდან 9 თვის შემდეგ ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე იმ წილაკების ზომები, რომელთა კონტურების იდენტიფიკაციაც შესაძლებელია, ნორმულთან შედარებით მომატებულია. სინუსოიდების ნაწილი ასიმეტრიულად არის გაგანიერებული. ეს ასიმეტრია ზოგჯერ მეტად არის გამოხატული პერიპორტულად, ზოგჯერ კი პერიცენტრალურად. აღნიშნულის გამო ღვიძლის ქსოვილი არაჰომოგენური შესახედაობისაა. სინუსოიდთა არათანაბრობა უკეთ შეიმჩნევა მათი კალაპოტის ტუშ-ჟელატინით ინიექციის შემდეგ დამზადებულ გამჭვირვალე ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე. ამავე პრეპარატებზე კარგად ჩანს რამდენიმე მომიჯნავე წილაკის შერწყმით მიღებული კონგლომერატი - „მეგაწილაკი“, რომლის გაერთიანებული სინოსოიდური ქსელი სათავეს იღებს რამოდენიმე პორტული ვენულიდან, ცალკეულ წილაკებსა და მეგაწილაკებს შორის საზღვრებიც („უსისხლძარღვო ზონები“) ასევე გაგანიერებულია და ამოვსებულია შემაერთებელი ქსოვილით. საკონტროლო ჯგუფის კოროზიული პრეპარატების ანალიზის საფუძველზე, რომელიც ემყარება 300 მკმ დიამეტრზე ნაკლების სისხლძარღვის შემცველი ღვიძლის კოროზიული ტვიფრების ელექტრონულ მასკანირებელ მიკროსკოპიას, დადგინდა, რომ სინუსოიდები ქმნიან მეტნაკლებად უნიფორმულ სამგანზომილებიან ქსელს და ასევე ქსელს, რომელიც ძნელია მიაკუთვნო რომელიმე გეომეტრიულ ფიგურას. ნორმაში, ღვიძლის ქსოვილში აღნიშნული მასალის ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია ვიმსჯელოთ სამი ტიპის წილაკების არსებობაზე: ზედაპირული წილაკები, ღრმა წილაკები და წილაკების მსგავსი კონსტრუქციები.

სინუსოიდების დიამეტრები ფართოდ ვარირებს (6μm-დან - 20μm-მდე). სინუსოიდების ცალკეული მონაკვეთბის სიგრძეები ასევე ვარირებს 6μm-დან - 50μm მდე. საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ღვიძლის პორტული კალაპოტის კოროზიული პრეპარატების ზოგიერთ უბანში ჩვენს მიერ ნანახი იქნა სინუსოიდების ტვიფრებთან დაკავშირებული წვრილი კაპილარებისაგან შემდგარი ქსელები, ე.წ. „პერიპორტული ქსელი“, რომელიც ზოგჯერ ერთმანეთთან აკავშირებს კარის ვენის ტოტის მოპირდაპირე მხარებზე განლაგებული წილაკების სინუსოიდებს, თუმცა, ამასთანავე ამ წილაკებს შორის საზღვარი მკაფიოდ გამოხატული რჩება.

რეგენერირებული ღვიძლის წილაკების სინუსოიდთა ტვიფრების დიამეტრი ხშირად სჭარბობს საკონტროლო ჯგუფის ღვიძლის სინუსოიდთა ტვიფრების დიამეტრს. სინუსოიდთა ქსელში, ისევე როგორც საკონტროლო ჯგუფში, განირჩევა ორი ტიპის უბნები - პარალელური, ერთმანეთთან იშვიათი კავშირების მქონე ტვიფრებით და დაკლაკნილი, ხშირად „მოანასტომოზე“ ტვიფრებით. სინუსოიდთა ტვიფრები, 30-50 მიკრომეტრამდე შიდა დიამეტრის მქონე მარყუჟების გარდა (რაც ნორმულადაც გვხვდება) ხშირად ქმნიან მარყუჟებს, რომელთა შიდა დიამეტრიც შეადგენს 2-4 მიკრომეტრს.

სინუსოიდების ტვიფრების დიდი გადიდებით გამოკვლევა უჩვენებს, რომ მათი ზედაპირი გლუვი არ არის. გარდა ენდოთელიოციტების ბირთვისშემცველი ზონების ანაბეჭდებისა (რაც გვხვდება საკონტროლო ჯგუფის ნიმუშებზეც), პარციული ჰეპატექტომიიდან 9 თვის შემდგომ ტვიფრებზე აღინიშნება ბუსუსებისებრი წანაზარდები, რაც საკონტროლო ჯგუფის ტვიფრებისათვის არ არის დამახასიათებელი. ასეთი ბუსუსების არსებობა სინუსოიდთა ტვიფრებს „ხიჭვიან“ შესახედაობას აძლევს.

ღვიძლის 2/3-ის რეზექციიდან 2 კვირის და 9 თვის შემდეგ მორფომეტრიული გამოკვლევით მიღებული მონაცემების შედარება მიუთითებს, რომ მე-2 საკვლევი ჯგუფის ცხოველების ღვიძლის I და III ზონების ჰეპატოციტების ფართობი ნაკლებია 1-ლი საკვლევი ჯგუფის ანალოგიურ მონაცემებთან შედარებით.

ღვიძლის განმეორებითი რეზექციის შემდგომი სტრუქტურული ტრანსფორმაციის თავისებურებები ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ (SG3)

ღვიძლის 2/3-ის რეზექციის შემდეგ 9 თვის მანძილზე რეგენერირებული ღვიძლის რე-რეზექციიდან 6 თვეში (მე-3 საკვლევი ჯგუფი) ღვიძლის სტრუქტურული თვისებურებები შესწავლილ იქნა კომპლექსური მორფოლოგიური მეთოდებით. მიღებული მონაცემები შედარდა შესაბამისი საკონტროლო ჯგუფის ცხოველების ასევე, პირველი და მე-2 საკვლევი ჯგუფების გამოკვლევის შედეგებს. მე-3 საკვლევი ჯგუფის ცხოველების ღვიძლის ქსოვილის მორფომეტრიული კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ: ა) საკონტროლო ჯგუფთან შედარებით მესამე საკვლევ ჯგუფში მატულობს როგორც აცინუსის პირველ ზონაში, ისე მესამე ზონაში განლაგებული ჰეპატოციტების ფართობიცა და პერიმეტრის სიგრძეც ($P<0,05$); ბ) მე-2 და მე-3 საკვლევ ჯგუფებში აცინუსის პირველ ზონაში განლაგებული ჰეპატოციტები არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არც ფართობით და არც პერიმეტრის სიგრძით ($P>0,05$); გ) მე-3 საკვლევ ჯგუფში აცინუსის მესამე ზონაში განლაგებული ჰეპატოციტების ფართობი აღემატება მე-2 საკვლევი ჯგუფის შესაბამის ჰეპატოციტთა ფართობს ($P<0,05$). მე-3 საკვლევი ჯგუფის ცხოველების ღვიძლის სინუსოიდთა დიამეტრები უთანაბრობა, ცალკეულ წილაკებსა და მეგაწილაკებს შორის საზღვრები უფრო მკვეთრად არის გამოხატული. რე-რეგენერირებულ ღვიძლის კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია მიუთითებს, რომ წილაკთა შერწყმით მიღებული მეგაწილაკების რაოდენობა და ზომები მატულობს (ხშირად აღემატება 1 მმ-ს). ეს მეგაწილაკები არქიტექტონიკით საკმაოდ განსხვავდება საკონტროლო ჯგუფის წილაკებისაგს არქიტექტონიკისაგან. ამასთანავე, მეგაწილაკების შემქმნელ სტრუქტურათა შორის საზღვრების იდენტიფიცირება გაძნელებულია, ხოლო მომიჯნავე მეგაწილაკებს შორის საზღვრები მკვეთრად არის გამოხატული. სინუსოიდთა და მათთან დაკავშირებულ სისხლძარღვთა დიამეტრები აღემატება საკონტროლო და რეგენერირებული ღვიძლების ანალოგიური სისხლის მილების შესაბამის ზომებს. მე-3 საკვლევი ჯგუფის ცხოველების

ღვიძლის სინუსოიდთა ტვიფრების ქსელში ხშირია ბრმად დაბოლოებული უბნები; ამასთანავე, გვხვდება 3-4 სინუსოიდის შერწყმით შექმნილი ლოკალური გაგანიერებები. სინუსოიდების ტვიფრები ქმნიან სხვადასხვა შიდა დიამეტრის მარყუჟებს (5 – 30 მკმ). ტვიფრების ნაწილზე აღინიშნება მიმდებარე უჯრედთა და/ან მათი ბირთვისშემცველი ზონების ანაბეჭდები. სინუსოიდების ტვიფრთა ნაწილზე აღინიშნება იმის მსგავსი ბუსუსებისებრი წანაზარდები, როგორიც აღწერილი იყო რეგენერირებული ღვიძლის სინუსოიდთა ტვიფრებზე, თუმცა რე-რეგენერაციის ჯგუფში ამ წანაზარდების ზომაც და სიხშირეც გაცილებით მეტია.

მე-2 საკონტროლო ჯგუფის ცხოველთა ღვიძლებში პერიპორტული და პერიცენტრული ჰეპატოციტების ერთი და იგივე სიგრძე და განსხვავებული ფართობი მიუთითებს აღნიშნულ უჯრედთა ჭრილების ფორმების განსხვავებას. პერიპორტულად განლაგებული ჰეპატოციტები უფრო ხშირად წარმოდგენილია კვადრატში ჩახაზული მრავალწახნაგა ფიგურების სახით, ხოლო პერიცენტრულად განლაგებული ჰეპატოციტები უფრო წაგრძელებული ფორმისაა (შეესაბამება მართკუთხედში ჩახაზულ მრავალწახნაგა ფიგურებს). რეზექციის და რე-რეზექციის შედეგად განვითარებული ღვიძლის რეგენერაცია ასოცირდება როგორც აცინუსის I ზონაში ისე აცინუსის III ზონაში განლაგებული ჰეპატოციტების ჰიპერტროფიასთან. ამასთანავე, ჰეპატოციტების ჭრილები უფრო უნიფორმულია. აღსანიშნავია, რომ ჰიპერტროფია უფრო მეტად არის გამოხატული განმეორებითი რეზექციის შემდეგ „რე-რეგენერირებული“ ღვიძლის აცინუსის III ზონაში (პერიცენტრულად) განლაგებულ ჰეპატოციტებში.

ჩვენს მიერ ღვიძლის ქსოვილის სტრუქტურის კვლევა ხორციელდება იმ ვადებზე, როდესაც, ლიტერატურის მონაცემებით ღვიძლის რეგენერაციის პროცესები დასრულებულია. ეს მიუთითებს, რომ არსებული კონსენსუსის გათვალისწინებით, რეზექციის შემდგომი რეგენერაციით მიღწეულია ის მდგომარეობა, როდესაც, ერთი მხრივ, ღვიძლი აკმაყოფილებს მისი მეტაბოლიზმის მიმართ ორგანიზმის მოთხოვნილებას, ხოლო მე-2 მხრივ, ნიველირებულია პორტული ჰიპერტენზია.

ჩვენი მონაცემების საფუძველზე, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ პირველის, ანუ მეტაბოლიზის მიმართ ორგანიზმის მოთხოვნილების, უზრუნველყოფას ახდენს პჰ-ის შემდეგ გააქტიურებული მიტოზების შედეგად წარმოქმნილი (რეპოპულაციური) ჰეპატოციტების ჰიპერტროფია, ხოლო მეორისას - პორტული წნევის ნიველირებას - სისხლძარღვთა ზომაში მომატება და სინუსოიდთა ნაწილის დილატაცია. ჩვენს მიერ ჩატარებული მორფომეტრიის შედეგებიც ადასტურებს, რომ პჰ-ის შემდეგ რეგენერირებული ღვიძლი (რეგენერირებული წილები) უნდა შეიცავდეს ჰიპერტროფირებული ჰეპატოციტების გაზრდილ რაოდენობას. მაგრამ ამ შემთხვევაში, რეგენერირებული ღვიძლის ყველა წილაკის ზომა უნდა აღემატებოდეს საკონტროლო ჯგუფის წილაკების ზომას. ჩატარებული ჰისტოლოგიური და კოროზიული პრეპარატების გამოკვლევის შედეგების შეჯერება ადასტურებს, რომ სხვადასხვა ხარისხით ჰიპერტროფირებულ და ე.წ. მეგა-წილაკებთან ერთად, როგორც რეგენერირებულ, ისე რე-რეგენერირებულ ღვიძლში გვხვდება საკონტროლო ცხოველების წილაკების ზომის და ფორმის წილაკებიც. მათი არსებობა მიუთითებს, რომ ჰიპერპლაზია-ჰიპერტროფიის პროცესი არ შეეხო ყველა ჰეპატოციტს, და შესაბამისად, ყველა წილაკს.

იმ ჰეპატოციტებმა, რომლებიც დაექვემდებარნენ პროლიფერაციასა და ჰიპერტროფიას, განიცადეს რემოდელირება გაზრდილი ზომის (ჰიპერტროფირებულ), მათ შორის არასტანდარტული ფორმის წილაკებში - „მეგაწილაკებში“.

მიუხედავად იმისა, რომ პარციული ჰეპატექტომიიდან 9 თვის შემდგომ დამზადებულ კოროზიულ და ტუშით ინიეცირებულ პრეპარატებზე კარგად ჩანს „მეგაწილაკების“ სისხლძარღვთა რაოდენობის მატება, მაინც ვამჯობინებთ ფრთხილი ტერმინის - „წილაკთა რე-მოდელირების და არა „წილაკთა პროლიფერაციის“ გამოყენებას.

პარციული ჰეპატექტომიის შემდეგ რეგენერირებული ღვიძლის კოროზიულ პრეპარატებზე ჩვენს მიერ ნანახია ისეთი წილაკებიც, რომლებიც ზომით ჩამორჩებიან საკონტროლო ცხოველების (ნორმული) წილაკების ზომებს. ამდენად, პარციული ჰეპატექტომიის შემდეგ ახალი

წილაკების გაჩენის თაობაზე დებულების დადასტურება ან უარყოფა დამატებით კვლევებს მოითხოვს.

პარციული ჰეპატექტომიის შემდეგ, ღვიძლის წილაკების რემოდელირებას თან ახლავს შემაერთებელქსოვილოვანი სტრუქტურების რაოდენობის მატება და არა მხოლოდ მსხვილი სისხლის მილების გარშემო, არამედ მათი წვრილი განტოტებების გარშემოც და, მეტიც, დისეს სივრცეებშიც, რაც მიუთითებს, რომ, როგორც რემოდელირებული უჯრედები, ისე მთელი წილაკები, მე-2 და მე-3 საკონტროლო ჯგუფის ღვიძლებთან შედარებით, უფრო მტკიცედაა ჩაყალიბებული ღვიძლის შემაერთებელქსოვილოვან ჩონჩხში. ასეთი ჩაყალიბება, სავარაუდოდ, განმეორებითი პარციული ჰეპატექტომიის შემდგომ, უნდა განაპირობებდეს რემოდელირების ახალი ტალღის ნაკლებ ინტენსიურობას. ეს ვარაუდი დასტურდება როგორც ჰისტოლოგიური, ისე კოროზიული პრეპარატების გამოკვლევითაც. ამასთანავე, განმეორებითი პარციული ჰეპატექტომიის შემდგომ, მასონის ტრიქრომით შეღებილ პრეპარატებზე კარგად ჩანს შემაერთებელქსოვილოვანი ბოჭკოების მატება პირველადი რეზექციის შემდგომ მდგომარეობასთან შედარებით. კოლაგენური ბოჭკოები თან ახლავს რემოდელირებული წილაკების (მეგაწილაკების) შემომსაზღვრელ პერილობულურ სისხლძარღვებსაც, რაც ღვიძლის პარენქიმას ნოდულურ შესახედაობას აძლევს. აღნიშნულის გამო, სავარაუდოა, რომ კიდევ ერთხელ (მესამედ) ჰეპატექტომიის შესრულების შემდეგ წილაკებს კიდევ ნაკლები რემოდელირების საშუალება ექნებათ.

მომიჯნავე წილაკების სინუსოიდთა ქსელებს შორის უხვი ანასტომოზების არსებობა საფუძველს იძლევა, რომ ღვიძლის მთელი სინუსოიდური ქსელი წარმოვიდგინოთ ერთიანი ბადის სახით, რომელიც მარაგდება და დრენირდება მრავალი სისხლისძარღვით. მომმარაგებელი სისხლძარღვები წარმოდგენილია არა მხოლოდ წილაკთაშორისი ვენულით, არამედ „ჩართული“ ვენულებითაც, რომლებიც უფრო მსხვილი კალიბრის სისხლძარღვებს გამოეყოფიან ყოველ 300-600 მიკრომეტრში, ორ მოპირდაპირე მხარეს. ჩართულ ვენულობს შორის დისტანცია შეესაბამება წილაკების ზომებს, ხოლო

ცენტრალურ და/ან სუბლობულურ ვენულებში სინუსოიდების ჩართვის უბნებს შორის დისტანცია - შეესაბამება პერიცენტრული ჰეპატოციტების ზონებს, იმის გათვალისწინებით, რომ ორ მომიჯნავე სინუსოიდს შორის შეიძლება განთავსებული იყოს ერთი ან ორი ჰეპატოციტი. სინუსოიდების ქსელს გააჩნია დამატებითი სპეციფიკური შენაკადები პერიპორტული და პერიბილიური ქსელების სახით, რომლებიც, თავის მხრივ სათავეს იღებენ პორტული ვენის და ღვიძლის არტერიის განტოტებებისაგან.

პარციული ჰეპატექტომიის, ასევე განმეორებითი პარციალური ჰეპატექტომიის შემდეგ ღვიძლის ქსოვილში მიმდინარე რემოდელირებისას ე.წ. მეგაწილაკების წარმოქმნით სინუსოიდური კაპილარები მონაწილეობენ დილატაციით, პროლიფერაციითა და სივრცული ბადის ახალი კონსტრუქციის შექმნით. ამასთანავე ეს რემოდელირება, ისევე როგორც ჰეპატოციტების შემთხვევაში, სინუსოიდთა ქსელის ყველა მონაკვეთს თანაბრად არ ეხება. მართალია, საკონტროლო ჯგუფის მსგავსად, სინუსოიდთა ქსელში განირჩევა ორი ტიპის უბნები - პარალელური, ერთმანეთთან იშვიათი კავშირებით, და დაკლაკნილი, ხშირი ანასტომოზებით, მაგრამ მათი წილაკშიდა ტოპოგრაფია, ნორმისგან განსხვავებით, კანონზომიერებას ნაკლებად ამჟღავნებს. სინუსოიდთა ტვიფრების გაგანიერება, დაგრძელება, „ბრმა“ მორჩების გაჩენა და მარყუჟების რაოდენობის მატება ადასტურებს პროლიფერაციული პროცესის არსებობას, რაც უნდა ეფუძნებოდეს სინუსოიდთა გამომფენი ენდოთელიოციტების როგორც ჰიპერტროფიას, ისე პროლიფერაციას. ამ უკანასკნელს ადასტურებს ტვიფრების ნაწილზე ენდოთელიოციტთა და მათი ბირთვისშემცველი ზონების ანაბეჭდების არსებობა, რომელთა ზომებიც აღემატება ნორმულად აღწერილს.

სინუსოიდთა ტვიფრებზე ბრმა მორჩების გაჩენა სინუსოიდური კაპილარების დაკვირტვით გამრავლების დადასტურებად უნდა განვიხილოთ. ზოგიერთი მარყუჟის მცირე შიდა დიამეტრი (მაგალითად, 2-4 მიკრომეტრი) გვაფიქრებინებს, რომ აქ ყოველთვის ჰეპატოციტი არ უნდა იყოს განთავსებული (ფიზიკურად ვერ იქნება განთავსებული - „ვერ დაეტევა“).

ცალკე გამოყოფის ღირსია კიდევ უფრო მცირე შიდა დიამეტრის მქონე ის მარყუჟები, რომლებიც შექმნილია სინუსოიდთა ტვიფრის მცირე ზომის ფრთისებრი მორჩების (წანაზარდების) ერთმანეთთან დაკავშირების შედეგად. სავარაუდოდ, ასეთი წანაზარდებისა და მარყუჟების არსებობა უნდა მიუთითებდეს რომ სინუსოიდთა პროლიფერაციაში მონაწილეობს ე.წ. კაპილარების „სპლიტინგის“ მექანიზმი - მათ სანათურში „ენდოთელიური ფარდის“ (“ტიხრის“) შექმნით და ამ სანათურის ორ, ხშირად არათანაბარ, ნაწილად დაყოფით.

სინუსოიდთა რემოდელირების შემდგომ საფეხურს ადასტურებს აგრეთვე პარციული ჰეპატექტომიიდან 9 თვის თავზე რეგენერირებული ღვიძლის განმეორებითი რეზექციიდან 6 თვის შემდეგ დამზადებული კოროზიული პრეპარატების მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპია. გარდა იმისა, რომ მატულობს სინუსოიდთა ტვიფრების ბრმა მორჩების რაოდენობა, როგორც აღვნიშნეთ, გვხვდება 3-4 სინუსოიდის შერწყმით შექმნილი ლოკალური გაგანიერებები (სინუსოიდური ტბები), რომელთა შემცველი უბნებიც, ჰისტოლოგიურ პრეპარატებზე არც თუ იშვიათად ძნელად გასარჩევია ცენტრალური ვენებისაგან.

რეგენერირებული ღვიძლის სინუსოიდების ტვიფრებზე აღინშნული წვრილი ბუსუსებისებრი წანაზარდების არსებობა უნდა მიუთითებდეს სინუსოიდთა გამომფენი ენდოთელიოციტების ფენესტრების გაგანიერებას და მათში ტვიფრების მისაღებად გამოყენებული სგმ „შეღწევის“ შესაძლებლობის გაჩენას. რე-რეგენერირებული ღვიძლის სინუსოიდთა ტვიფრებზე ასეთი წანაზარდების როგორც ზომების, ისე სიხშირის მატება, სავარაუდოდ, დაკავშირებულია სინუსოიდთა გამომფენი ენდოთელიოციტების ფენესტრების კიდევ უფრო გაგანიერებასთან. ფენესტრაციის მატება კი, თავის მხრივ, კავშირში უნდა იყოს აღნიშნულ ენდოთელიოციტთა ჰიპერტროფიასთან, რომელიც ვითარდება რეზექციის შემდეგ და კიდევ მეტად ძლიერდება განმეორებითი რეზექციის შემდეგ.

შეჯამება

ჩვენს მიერ შექმნილი სგმ-ის მახასიათებლების, ასევე მისი საშუალებით შექმნილი კოროზიული ტვიფრების სინათლის და მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპიით გამოკვლევის შედეგები ადასტურებს, რომ ეს ნარევი აკმაყოფილებს Corrosion cats media-ს მიმართ წაყენებულ ყველა ძირითად მოთხოვნას და წარმატებით შეიძლება იქნას გამოყენებული შესაბამისი კვლევების ჩატარებისათვის.

თუ შევადარებთ პარციალური ჰეპატექტომიიდან ორ კვირაში ჰეპატოციტთა მორფომეტრიის შედეგად მიღებულს პარციალური ჰეპატექტომიიდან 9 თვის თავზე მიღებულ მონაცემებს, აღმოჩნდება, რომ ისინი ერთმანეთისგანაც განსხვავდება. ეს საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ღვიძლის სტრუქტურული ტრანსფორმაცია 2/3-ის რეზექციის შემდეგ ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. ამ მონაცემებს კორექცია შეაქვს იმ დებულებაში, რომ მღრღნელების ღვიძლში რეგენერაციული პროცესები 2/3-ის რეზექციის შემდეგ მთავრდება მე-7 - მე-10 (Kandilis et al. 2014; Nagy 2001; Saito et al. 2006). ჩვენი კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, უფრო სწორად მიგვაჩნია ასეთი ფორმულირება: 2/3-ის რეზექციის შემდეგ ღვიძლი რეგენერირებს და 7-10 დღეში აღიდგენს თავის მასასა და მოცულობას, თუმცა როგორც მისი უჯრედული, ასევე სისხლძარღვოვანი სტრუქტურების ტრანსფორმაცია, რაც თავის მხრივ იწვევს ღვიძლის წილაკების სივრცულ ტრანსფორმაციას, გრძელდება რეზექციიდან შორეულ ვადებზეც.

საკითხავია, ღვიძლის არქიტექტონიკის პერმანენტული ტრანსფორმაცია გამოწვეულია მხოლოდ პარციალური ჰეპატექტომიით, თუ წარმოადგენს ღვიძლისთვის ტიპიურ ფენომენს, რომელსაც ადგილი აქვს მთელი ონტოგენეზის განმავლობაში. პოსტნატალური ზრდის დასრულების შემდგომ, ღვიძლის არქიტექტონიკის შესაძლო ცვლილებების დადასტურება ან უარყოფა. მნიშვნელოვანი იქნებოდა ღვიძლის სტრუქტურის, როგორც მთლიანის, ასევე მისი ცალკეული კომპონენტების, პლასტიკურობის შესწავლისათვის ონტოგენეზის დინამიკაში.

ვირთაგვის ღვიძლის რეგენერაციის პროცესი არ მთავრდება ერთ და ორ კვირაში. მიუხედავად ღვიძლის მოცულობისა და მასის აღდგენისა, რაც ძირითადად ეფუძნება ჰეპატოციტების მიტოზებს, რეგენერირებულ ღვიძლში ადგილი აქვს ჰეპატოციტთა ფორმისა და ზომის, ასევე სისხლძარღვოვანი ქსელის ტრანსფორმაციის პერმანენტულ პროცესს. ფორმირდება ახალი უჯრედშორისი კავშირები, მათ შორის ფორმაშეცვლილი მეზობელი ჰეპატოციტების ატიპიური მემბრანული მორჩების ჩართულობით. სისხლძარღვთა ქსელი ასევე განიცდის ტრანსფორმაციას - როგორც არსებული სტრუქტურების ფორმისა და ზომის ცვლილებით, ისე ახალი სინუსოიდური კაპილარების და ვენულების წარმოქმნით.

აღნიშნული ტრანსფორმაციები საფუძვლად უდევს ღვიძლის წილაკების სივრცული არქიტექტონიკის ცვლილებებს.

ღვიძლის რეგენერაციისა და რე-რეგენერაციის პროცესი კომპლექსური მორფოლოგიური ცვლილებების ფონზე/ხარჯზე მიმდინარეობს. ცვლილებების ეხება ორგანოს როგორც პარენქიმულ, ასევე სტრომულ კომპონენტს.

ჩვენი კვლევებით მიღებული ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ რეზექციის შემდეგ ღვიძლის მასის აღდგენა ხდება ჰეპატოციტების ჰიპერტროფიის, სინუსოიდთა დილატაციის და პროლიფერაციის, ასევე არსებული სისხლმილთა დაგრძელების, დუქტულების რაოდენობისა და წილაკთშორისი შემართებელქსოვილოვანი კომპონენტის გამრავლების ხარჯზე, რაც თავის მხრივ იწვევს წილაკის აგებულების შეცვლას - რემოდელირებას. ამასთნავე უნდა აღინიშნოს, ცვლილებები მიმდნარეობს არა მხოლოდ ერთი კლასიკური წილაკის შიგნით, არამედ მომიჯნავედ მდებარე წილაკების გაერთიანებით და „მეგაწილაკის“ წარმოქმნით.

თუმცა ჩვენს მიერ ნანახი მცირე ზომის წილაკების არსებობა მოითხოვს დამატებით კვლევებს ამ მიმართულებით, რათა დავრწმუნდეთ რომ რეგენერაციის პროცესი გარდა წილაკების გადიდებისა და რემოდელირებისა, მიმდინარეობს ასევე მათი გამრავლების ხარჯზე.

დასკვნები

- ჩვენს მიერ შემუშავებული გამყარებადი საინექციო მასის ნარევი - 0.25 გ გაცრილი MAYCRYL C. C. ფხვნილი (მთლიანი მასის 4.7%) + 0.08 გ ბენზოილის ზეჟანგი (მთლიანი მასის 1.5 %) + 5 მლ Protacryl M + 0,2 მლ საღებავი Redont Colour - წარმატებითშეიძლება იქნას გამოყენებული, ღვიძლის მილოვანი სტრუქტურების (სისხლის ძარღვები) რეპლიკაციისათვის. აღნიშნული მასის გამოყენებით მიღებული კოროზიული პრეპარატები კარგად ექვამდებარება როგორც სინათლის, ისე მასკანირებელი ელექტრონული მიკროსკოპით გამოკვლევას;

- ღვიძლის რეგენერაცია მისი 2/3-ის რეზექციის შემდგომ წარმოადგენს კომპლექსურ პროცესს, რომელიც გრძელდება თვეების მანძილზე; პირველი ორი კვირის განმავლობაში ღვიძლის „ზრდა“ განპირობებულია უჯრედთა ჰიპერტროფია/პროლიფერაციით; შემდგომ ვადებზე კი ხდება ღვიძლის ქსოვილის რემოდელირება - უჩვეულო ფორმის და დიდი ზომის წილაკების („მეგაწილაკების“) გენერაციით, რაც ეფუძნება სინუსოიდური ქსელის არქიტექტურის და ჰეპატოციტების ფორმის რემოდელირებას;

- როგორც ღვიძლის რეზექციის, ასევე რე-რეზექციის შემდეგ წილაკშიდა სისხლის კალაპოტის - სინუსოიდთა ქსელის - რემოდელირება გამოიხატება სინუსოიდთა „დაკვირტვითი“ და „დატიხვრითი“ პროლიფერაციით მიმდინარე სივრცული არქიტექტონიკის ტრანსფორმაციით; ტრანსფორმირებული ქსელი შედგება სხვადასხვა დიამეტრისა და დატოტიანების სინუსოიდებისაგან, რომელთა ნაწილი ავლენს „ვენიზაციის“ ნიშნებს;

- ჰეპატოციტთა რემოდელირება გამოიხატება მათი ფორმისა და დიამეტრის ცვლილებით, პლაზმური მემბრანის კონტურის დაკბილვით და ფსევდოპოდიების მსგავსი მორჩების განვითარებით, რაც, თავის მხრივ, ადასტურებს ახალი უჯრედთაშორისი კავშირების განვითარების შესაძლებლობას.

გამოქვეყნებული ნაშრომების სია

1. Tsomaia K, Inauri N, Patarashvili L, Karumidze N, Azmaipharashvili E, Bebiashvili I, Kordzaia M, Kakabadze M, Dzidziguri D, Kordzaia D. To fill the missing fragments of a complex mosaic of liver regeneration. Transl Clin Med-Georg Med J. 2018 Apr 22;3:32-7.
2. Tsomaia K, Patarashvili L, Bebiashvili I, Azmaiparashvili E, Kakabadze M, Jalabadze N, Sareli M, Gusev S, Kordzaia D. New corrosion cast media and its ability for SEM and light microscope investigation. Microscopy research and technique. 2020 Jul;83(7):778-89.
3. Tsomaia K, Patarashvili L, Karumidze N, Bebiashvili I, Azmaipharashvili E, Modebadze I, Dzidziguri D, Sareli M, Gusev S, Kordzaia D. Liver structural transformation after partial hepatectomy and repeated partial hepatectomy in rats: A renewed view on liver regeneration. World Journal of Gastroenterology. 2020 Jul 21;26(27):3899.
4. Tsomaia K, Azmaipharashvili E, Gvidiani S, Bebiashvili I, Gusev S, Kordzaia D. Structural changes in rats'liver during the first 2 weeks following 2/3 partial hepatectomy. Georgian Medical News. 2021 Jan 1(310):134-41.
5. Azmaiparashvili E, Bebiashvili I, Karumidze N, Tsomaia K, Kordzaia D. Ductular reaction at the early and late stages of biliary obstruction: is the mechanism the same?. Georgian medical news. 2019 Jan 1(286):100-6.
6. Patarashvili L, Tsomaia K, Kakabadze M, Kordzaia D, Chanukvadze I. Perivascular connective tissue sheath and portal tracts in mammals. Translational and Clinical Medicine-Georgian Medical Journal. 2019 Feb 24;4(1):4-7.
7. Patarshvili LG, Tsomaia KB, Bebiashvili IS, Kordzaia DJ, Gusev SA. Spatial Organization of the Transport of Interstitial Fluid and Lymph in Rat Liver (Scanning Electron Microscopy of Injection Replicas). Bulletin of Experimental Biology and Medicine. 2021 Jan;170(3):395-9.
8. Patarashvili L, Azmaipharashvili E, Jandieri K, Gvidiani S, Tsomaia K, Kikalishvili L, Sareli M, Chanukvadze I, Kordzaia D. Liver extracellular matrix peculiarities in mammals and avians. Georgian Medical News. 2021 Jan 1(310):124-33.
9. Azmaiparashvili E, Patarashvili L, Bebiashvili I, Tsomaia K, Gvidiani S, Tananashvili D, Kakabadze M, Gusev S, Kordzaia D. Spatial architecture of biliary tree in mammals: Fractal and Euclidean geometric features. Journal of Anatomy. 2021 Apr 4.

მოხსენებები ნაშრომის თემაზე

1. Protacryl M–based corrosion casting of liver blood, lymph and biliary pathways; XXIV National Congress of The Bulgarian Anatomical Society, Bulgaria 2019
2. Newel view on liver regeneration after partial hepatectomy; XXIV National Congress of The Bulgarian Anatomical Society Bulgaria, 2019
3. For filling the missing fragments of complex mosaic of liver regeneration; XXVI International Symposium on Morphological Sciences (ISMS), Prague, Czech Republic; 2018

კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი DP2016_22]“

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Medicine

Structured Doctoral Program Translational Biomedicine
(Direction - "Hepatology") "

Keti Tsomaia

Structural Transformations of the Liver after Resection and Repeated Resection (Experimental Study)

Theses of the dissertation submitted for the academic degree of
Doctor of Medicine

Scientific Supervisor: Professor Dimitri Kordzaia

2021 year
Tbilisi

